



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 149/ს
04/04/2023

149-21-4-202304041110



წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარის ტერიტორიაზე შპს „ნიუ პასაჟის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნიუ პასაჟის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ნიუ პასაჟის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2022 წლის 9 აგვისტოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ და 82² მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება და ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №071796 და №071795 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი მოწყობილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 8 134 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 47.14.42.022), რომელსაც შპს „ნიუ პასაჟი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-257120.00; Y-4732437.00. სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსების წერტილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 380 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ენგური - 60 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო ფუნქციონირებს 2021 წლიდან და აღჭურვილია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შედის: ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი (ყბებიანი სამსხვრეველა), საცრელ-დამხარისხებელი დანადგარი (კლასიფიკატორი) ლენტური ტრანსპორტიორი, სალექარი, ვიბრაციული ცხავი, ღია საწყობები. საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 27 000 მ³ ბალასტის

სველი მეთოდით გადამუშავება (დღეში 150 მ³). საწარმო მუშაობს წელიწადში 180 დღე, დღე-ღამეში 8 საათი და დასაქმებულია 6 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ტექნოლოგიური პროცესი იწყება ლიცენზირებული კარიერებიდან სატვირთო მანქანებით საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვით, რომელიც თავსდება ჩასატვირთი ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც ნედლეული ჩაიტვირთება ბუნკერში. ბუნკერიდან ნედლეული მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, უხეშად მსხვრევისთვის, საიდანაც დამსხვრეული მასალა გადადის საცრელ-დამხარისხებელ დანადგარზე. აქ ნედლეული წყლით ირეცხება და ხარისხდება. 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია გადადის სპირალური სარეცხი დანადგარისკენ, საიდანაც მიღებული ქვიშა ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე. სპეციალური გამანაწილებელი ბუნკერიდან კლასიფიკატორების გავლით მიღებული პროდუქცია განთავსდება ღია სასაწყობო მოედნებზე. ინერტული მასალა სამსხვრეველსა და კლასიფიკატორებს შორის გადაიზიდება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლით მომარაგება ხორციელდება ჩამოსხმული (ბუტილირებული) სახით. საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება საწარმოს მიმდებარე არსებული საგუბარიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ენგურის ინფილტრატს. საგუბარი ივსება მდ. ენგურის წყლის ხარჯზე. ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევე-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას საწარმოში დღეში გამოიყენება 400 მ³ წყალი, რაც ობიექტის სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით წლიურად შეადგენს 72 000 მ³-ს. წყალაღების მიზნით საგუბარში განთავსებულია ორი ერთეული ტუმბო (60 მ³ და 100 მ³). აღებული წყალი მიწისზედა პოლიეთილენის მილებით მიეწოდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ დანადგარს. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 257067; Y - 4732447.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მოცულობა, 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, წლიურად შეადგენს 64 800 მ³-ს. ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხდება მექანიკური, დალექვის მეთოდით. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი, მექანიკური გაწმენდის მიზნით, მიეწოდება ორსაფეხურიან სალექარს, რომლის პარამეტრებია: I საფეხური - 25x10x2,5 (მოცულობა 625 მ³); II საფეხური 25x8x2 (მოცულობა 400 მ³). სალექარში გაწმენდილი ჩამდინარე წყლის ჩაშვება ხდება მდ. ენგურში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-257082; Y-4732472). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსებულია ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაიჭონება გრუნტში.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელია ობიექტზე მავნე ნივთიერების - არაორგანული მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მსხვრევის დროს წარმოქმნილი არაორგანული მტვრის რაოდენობის შემცირებას. ამასთან, გადასამუშავებელი ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება მარაგადახურული ავტოთვიომცლელების მეშვეობით, რაც თავის მხრივ ამცირებს ამტვრეებას. შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი

ზემოქმედება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილისა (380 მ) და საწარმოს წარმადობის (27 000 მ³) გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. საპროექტო საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (380 მ) გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო, ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელთა შეგროვება ხდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სალექარში დაგროვილ ლამს, აღნიშნული წარმოადგენს პროდუქციას და მისი გატანა ხდება სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც წარმოდგენილია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულ, ტექნოლოგიურად სახეცვლილ ტერიტორიას, რომელიც წლების მანძილზე გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულებით, კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების მიზნით. საწარმოს ტერიტორია მოხრეშილია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ტერიტორია არ წარმოადგენს ცხოველთათვის ხელსაყრელ საბინადრო გარემოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებას საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში ანალოგიური ტიპის საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად მოსალოდნელი არ არის კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით გადაეგზავნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ დაგეგმილი საწარმოს წარმადობისა და ტექნოლოგიური ციკლის (სველი მეთოდი) გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ. ჯვარის ტერიტორიაზე შპს „ნიუ პასაჟის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნიუ პასაჟი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიუ პასაჟს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიუ პასაჟის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო